ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (კიევი) - 4:3 (3:0)
26 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 30 000 მაყურებელი.
მსაჯი ა. არაქელოვი (ბაქო).
გოლები: 1-0 პაიჭაძე (7), 2-0 ჯეჯელავა (15), 3-0 ბერეჟნოი (43), 3-1 ნ. ბალაკინი (48), 4-1 ბერძენიშვილი (55), 4-2 კუზმენკო (63), 4-3 კაჩკინი (68).
პენალტი ვერ გამოიყენა ბერძენიშვილმა (13, მეკარე)

"დინამო": დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი , პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ლოკომოტივი": კუსტოვსკი, ფომინი, სუხარევი (საბლინი), ნ. ბალაკინი, ზავალნიუკი, ფრანცევი, გალკინი, ნ. ბალაკინი, ავრამენკო, კუზმენკო, კაჩკინი.

"დინამო" (თბილისი) – "ლოკომოტივი" (კიევი)

26 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, თბილისის "დინამოს" და კიევის "ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრკ პირველობაზე.

შეჯიბრების პირველი წუთები დაიწყო თბილისელთა უპირატესობით. მე-7 წუთზე მცველთა ტაქტიკური შეცდომით ისარგელა პაიჭაძემ და გაიტანა პირველი ბურთი. ჯეჯელავა და პაიჭაძე კვლავ განაგრძობენ კიეველთა კარზე იერიშების მიტანას, მაგრამ მეკარე სორინის (კიევი) ვირტუოზული თამაში არ აძლევს მათ ანგარიშის გადიდების შესაძლებლობას.

კიევის თავდამსხმელები ენერგიულად იბრძვიან და ცდილობენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ შედეგს ვერ აღწევენ. "დინამოს" თავდამსხმელებმა (ჯეჯელავა და ბერეჟნოი) მე-14 და მე-43 წუთზე გაიტანეს 2 ბურთი. პირველი ტაიმი დამთავრდა – 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თბილისელებმა შესძლეს ერთი ბურთის გატანა, ხოლო სტუმრებმა გაიტანეს სამი ბურთი. მატჩი დამთავრდა "დინამოს" გამარჯვებით – ანგარიშით 4:3.

"მუშა", 27 ოქტომბერი, 1938 წ.